**წამყვანი და მენტორი მასწავლებლობის მსურველთა გამოცდა პროფესიულ უნარებში**

**(საგამოცდო პროგრამა)**

**1. სკოლის/თემის და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა**

1.1. სკოლის, თემის და მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების/პრობლემების იდენტიფიცირება.

1.2. სკოლის, თემის და მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და პრობლემების შესაბამისი კვლევის დაგეგმვა:

- პრობლემის იდენტიფიცირება.
- კვლევის ინსტრუმენტების შერჩევა/შემუშავება.
- ინფორმაციის/მონაცემების შეგროვება.
- ინფორმაციის/მონაცემების დამუშავება და გაანალიზება.
- რეკომენდაციების შემუშავება.

1.3. სკოლის, თემის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა პროექტის დაგეგმვა/განხორციელება.

**2. ზოგადი განათლების სისტემის ფართო ხედვა**

- ზოგადი განათლების სისტემასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, მართვის სტრატეგიები.
- თანამედროვე პროფესიულ ლიტერატურასა და კვლევების შესახებ ინფორმირებულობა, არსებითი ინფორმაციის ამოცნობა, მონაცემების გაანალიზება და მათი პრაქტიკაში გამოყენება.

**3. სასწავლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ორგანიზაციასთან თანამშრომლობა**

- საგანმანათლებლო სფეროში წამყვანი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების შესახებ ინფორმირებულობა.

| |
|---|
| • ეფექტიანი კომუნიკაციის უნარი.<br>• ფუნქციური წერა.<br>• საკითხის/პრობლემის პრეზენტაცია. |
| **4. მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპების ცოდნა და გაზიარება** |
| 4.1. სასკოლო თემის ფარგლებში  მდგრადი განვითარების შემდეგი ძირითადი პრინციპების გავრცელება:<br>• დემოკრატიული კულტურა.<br>• გლობალური მოქალაქეობა.<br>• ინკლუზია, მრავალფეროვნება და უნივერსალური დიზაინი.<br>• გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა.<br>• ციფრული მოქალაქეობა. |